საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2–01/2605
30/04/2014

2605-2–01-2-201404301941

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს

ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის 25 აპრილს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემოვიდა თქვენი 2014 წლის 24 აპრილის N282 წერილი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N4027–01 წერილი, თქვენი 2014 წლის 24 აპრილის N284 წერილთან დაკავშირებით.

აღნიშნული წერილების პასუხად ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ:

- 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალს გიგზავნით დანართი N1 სახით.
- 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ჯამში განხორციელდა 117 ობიექტის რეაბილიტაცია, რეაბილიტირებული გზის საერთო სიგრძე შეადგენს 190.3 კილომეტრს.
- 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალს გიგზავნით დანართი N2 სახით.
- 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ჯამში განხორციელდა 82 ობიექტის რეაბილიტაცია, რეაბილიტირებული გზის საერთო სიგრძე შეადგენს 108.9 კილომეტრს.
- 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საგზაო მონაკვეთების პერიოდული შეკეთებისა და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 214093.0 ათასი ლარი. ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 195193.28 ათასი ლარი, რაც შეადგენს გეგმის 91.17 პროცენტს.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

- 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საგზაო მონაკვეთების პერიოდული შეკეთებისა და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 128615.0 ათასი ლარი. ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 117085.26 ათასი ლარი, რაც შეადგენს გეგმის 91.04 პროცენტს.
- 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გეგმის შესაბამისად, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 45 ხიდს, 3 გვირაბს და 1 გალერეას, აშენდა 9 ახალი ხიდი (რეაბილიტირებული ხიდებისა და გვირაბების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართი N1 – ში).
- 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გეგმის შესაბამისად, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 28 ხიდს და 2 გვირაბს, აშენდა 3 ახალი ხიდი (რეაბილიტირებული ხიდებისა და გვირაბების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართი N2 – ში).

პატივისცემით,

ვაჟა ფანჩულიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

.